

FOR SOME LEXICAL ITEMS IN SOUTHERN DIALECTS

ზოგიერთი ლექსიკური ერთეულისათვის სამხრულ კილოებში

Maia Baramidze

Candidate of Philological Sciences

Professor, Batumi Shota Rustaveli State University

35 Ninoshvili St., Batumi 6010, Georgia

+995 577 46 98 85, maia.baramidze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0000-0001-8266-086X>

Abstract. A study of the speech of local inhabitants and Descendants of the Muhajirs from the Chorokhi Valley has shown that the Chorokhi Basin constitutes a unified cultural region. The Georgian dialects spoken in this area are collectively referred to as Southern Georgian speech, comprising the Adjarian, Shavsheti, Klarjeti, and Tao dialects.

Research on the Adjarian, Shavsheti, Klarjeti, and Tao dialects allows us to identify certain features that are common to southern speech.

The vocabulary of the southern Georgian sub-dialects is diverse and rich in many ways. In this paper, we will present lexical units characteristic of the southern dialects, some of which are also attested in other Georgian dialects - either with the same or with a different meaning - as well as in the Works of Old Georgian literary language. Therefore, the study will be valuable for exploring the relationship between the Georgian literary language and the southern dialects.

The following lexical items characteristic of South Georgian dialects are discussed in this paper: *gak'eteba* (to recover, improve, become more beautiful); *gharch'i* (boy, young man); *ts've* (very); *gadalabijeba* (to take a large step); *nachari* (bad); *ch'och'e* (muddy, swampy place); *mercholeba* (to be displeased); *imposerti* (especially)...

The analysis of the meanings of these and other lexical items shows that they generally share the same meanings across all South Georgian sub-dialects, although some variations are observed.

Compared to other Georgian sub-dialect groups, the South Georgian sub-dialects are most closely related to the Samtskhe-Javakheti and Meskhetian dialects. Some of the discussed lexical items have parallels in the Javakhetian sub-dialect. Several of these words are also attested in Old Georgian literary monuments, such as: "*Rusudaniani*" and "*Kilila and Damana*"... providing valuable material for studying the relationship between South Georgian dialects and the Georgian literary language.

The results of this study support the hypothesis that the South Georgian dialects (Adjarian, Shavsheti, Klarjeti, and Tao) evolved from a common ancestral South Georgian speech. These dialects are characterized by shared phonetic and grammatical changes and numerous common lexical features, indicating a common linguistic origin.

Keywords: Southern dialects; Adjarian; Shavsheti; Klarjeti; Tao; vocabulary; Georgian literary language.

მაია ბარამიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35, 6010, საქართველო,

+995 577 46 98 85, maia.baramidze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0000-0001-8266-086X>

აბსტრაქტი. ჭოროხის ხეობის მკვიდრთა და მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჭოროხის აუზი არის ერთიანი კულტურული სივრცე. ამ არეალის ქართულს სამხრულ მეტყველებას ვუწოდებთ - აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური ქმნიან სამხრულ დიალექტებს.

აჭარული, შავშური, კლარჯული, ტაოური დიალექტების შესახებ არსებული გამოკვლევები საშუალებას გვაძლევს, გამოვკვეთოთ ზოგიერთი მახასიათებელი, რომლებიც საერთო სამხრული მეტყველებისთვის.

სამხრული კილოების ლექსიკა მრავალფეროვანია და მრავალმხრივ საინტერესო. ნაშრომში წარმოვადგენთ სამხრული კილოებისთვის დამახასიათებელ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთაგან ზოგი დასტურდება იმავე ან განსხვავებული მნიშვნელობით ქართული ენის სხვა დიალექტებში, ასევე ქართული სამწერლობო ენის ძეგლებში. ამდენად საკითხი საინტერესო იქნება ქართული სალიტერატურო ენისა და სამხრული დიალექტების ურთიერთმიმართების დასადგენად.

ნაშრომში განხილულია შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **გაკეთება** (კარგად გახდომა, გამოკეთება, გალამაზება); **ღარჭი** (ბიჭი, ვაჟიშვილი); **წვე** (ძალიან); **გადალაზიჯება** (დიდი ნაბიჯის გადადგმა); **ნაჩარი** (ცუდი); **ჭოჭე** (ატალახებული, ჭაობიანი ადგილი); **მერჩოლება** (მაწყენს); **იმფოსერთი** (განსაკუთრებით)...

ამ და სხვა ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობათა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათ ყველა სამხრულ კილოში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ, თუმცა ზოგჯერ მათი მნიშვნელობა განსხვავებულია.

სამხრული კილოები ქართული ენის სხვა დიალექტებთან შედარებით მეტ სიახლოვეს, ბუნებრივია, ავლენს სამცხურ-ჯავახურთან, მესხურთან. ზოგიერთ სიტყვას პარალელი ეძებნება ჯავახურში. რამდენიმე დასტურდება ძველი ქართული მწერლობის ისეთ ძეგლებში, როგორებიცაა: „რუსუდანიანი“, „ქილილა და დამანა“... რაც საინტერესო მასალას გვაძლევს სამხრული დიალექტებისა და ქართული სამწერლობო ენის მიმართების შესასწავლად.

კვლევის შედეგები სარწმუნოს ხდის ჩვენს ვარაუდს, რომ აჭარული, შავშური, კლარჯული, ტაოური არის სამხრული მეტყველების დიფერენციაციის შედეგი, გულისხმობს საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს, მათ ბევრი აქვთ საერთო ლექსიკაში.

საკვანძო სიტყვები: სამხრული კილოები; აჭარული; შავშური; კლარჯული, ტაოური; ლექსიკა; ქართული სამწერლობო ენა.

შესავალი. ჭოროხის ხეობის მკვიდრთა და მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ინტენსიური შესწავლა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქვეყანა – აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი... ჭოროხის „ქვეყნების“ ავტოქტონური მოსახლეობის მეტყველება ერთმანეთთან ახლოს მდგომი დიალექტებია, რაც გულისხმობს საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს, ბევრი საერთო აქვთ ლექსიკაშიც, ამიტომაც გამოვყოფთ მათ ქართული ენის დიალექტთა ცალკე ჯგუფად და ვუწოდებთ სამხრულ კილოებს/სამხრულ დიალექტებს ან სამხრულ მეტყველებას. მაშასადამე, აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური ქმნიან სამხრულ დიალექტებს (ფაღავა, 2015: 136-141; იხ. ქართული ენის შავშური დიალექტი, 2022; ქართული ენის კლარჯული დიალექტი, 2023; ქართული ენის ტაოური დიალექტი, 2024).

ნაშრომში წარმოვადგენთ სამხრული კილოებისთვის დამახასიათებელ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს, რომელთაგან ზოგი დასტურდება იმავე ან განსხვავებული

მნიშვნელობით ქართული ენის სხვა დიალექტებში, ასევე ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში. ამდენად, საკითხი საინტერესოა ქართული სალიტერატურო ენისა და სამხრული დიალექტების ურთიერთმიმართების დასადგენად.

მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, შედარებითი, ლინგვისტური ანალიზის, სინთეზის მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჭოროხის ხეობის მკვიდრთა და მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ინტენსიური შესწავლის შედეგად, უკანასკნელ წლებში, მოპოვებულია და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა სამხრული (ისტორიული საქართველოს მკვიდრთა) მეტყველების გრამატიკულად და ლექსიკურად მრავალმხრივ საინტერესო მასალა. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ რამდენიმე მათგანზე.

სამხრულ მეტყველებაში გავრცელებულია **გაკეთება** საწყისის შესაბამისი პირიანი ფორმები, რომელთა მნიშვნელობა განსხვავდება ამ ზმნის დღევანდელი მნიშვნელობისაგან. აღნიშნავს იგი **კარგად გახდომას, გამოკეთებას, გალამაზებას**: *მასკან ხელი დემეკრანჩხა, ღმერთმა გამკეთა (მანატბა); ღმერთმა გაგკეთოს, გაკეთდი, ინშალა, კარგობა მოგცეს. დოდოფალ გამეყვანთ გარეთ, შევკაზმავთ, ურუბას ჩავაცვამთ, გაგკეთებთ (ზიოსი).* **გაკეთებული** გავრცელებულია აჭარულშიც, იტყვიან ადამიანზე, რომელიც წინანდელზე უკეთ გამოიყურება, გასუქებულია (ცინცაძე, ფაღავა, 1998:199). **გაკეთებული** ამ მნიშვნელობით გვხვდება „რუსუდანთანში“, „ქილილა და დამანაში“: *დღესა ერთსა ხელმწიფე მოედანს სეირნობდა და მეცხორემ დია გაკეთებული ბატკანი მიაართო (რუსუდ. 578); ამა ჭირსა მომარჩინო, გამკეთო ავივე დრო (ქილ. 244).*

ღორი - საინტერესოა, რომ ამ სახელს ყოველთვის არ ახლავს უარყოფითი შინაარსი: *ჩვენ რა ღორი ვართ, გურჯულიც ვიცით, თურქჩაც ვიცით (ბაზგირეთი); ეს ძანულია, ღორი ქალია, მოლაპარაკე (სვირევანი); თქვენ ღორი ყოფილხართ ჩვენზე (იფხრეული); ჩვენ მაგარი გურჯი არ ვართ, ბლაცვი გურჯი ვართ, ღორი და იყვე (უბე); მე მინდა, ქი გურჯიც 'ნა იყოს გამჭრე, ამგვარი გურჯები მინდა მე - მაგარი, ღორი, კაბ (უბე).*

ერთ შემთხვევაში **ღორი** იხმარება **ავადმყოფობის** მიმართ, აღნიშნავს მის ხანგრძლივობას, ადრე განკურნების შეუძლებლობას: *პირპილ არ ვიხმარებდით, გაღორდებაო, არ მორჩებაო (წეთალეთი).*

სამხრულ მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული სიტყვაა **ღარჭი**, რომელიც **ბიჭის, ვაჟიშვილის** აღმნიშვნელია. მისი ანტონიმია **ბაჭალა**, იშვიათად - **გოგო**: *ეს მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას შემდეგ წინადადებებში: შვილი ექვსი თანე მყავს - ოთხი ბაჭალა, ორი ღარჭი (მანატბა); ბაჭალაც შვილია, ღარჭიც შვილი (უკანა მეჰელი); ორი ბაჭალა მყავ და ერთი ღარჭი (სვირევანი); ერთი ღარჭი მყავ, ერთი ბაჭალა (უსტამისი); ერთი ღარჭი მყავს, სამი ბაჭალა (მანატბა); ორი ღარჭი ყავს, ერთი ბაჭალა (მანატბა); ქითაბში წერია, ღარჭის ანაბ ანაბა, ბაჭალას ანაბ ანაბა, ორსავე ანაბა (მაჩხატეთი); შვილი ოთხი თანე მყავს: სამი თანე ღარჭი, ერთი ბაჭალა (დაბა); ორი თანე ძმას ღარჭები ყოლია, ერთ ძმას - ბაჭალა (სვირევანი); მე ღარჭი არ მყავს, სამი ბაჭალა მყავს (უბე); ორი ღარჭი მყავს, ორი გოგო (ნიოლეთი); იმას ერთი გოგო ყავდა, არ ყოლია ღარჭი (შავშეთი).*

ღარჭი რომ ვაჟიშვილს აღნიშნავს, ჩანს შემდეგი კონტექსტიდანაც: *შენი ღარჭი აქ და დავასახლოთ (ხევერული); დასახლება* ვაჟის დაქორწინებას ნიშნავს.

ღარჭს ერთგან განსაზღვრებად ახლავს **ბიჭი**: *ჩემი ღარჭი პოლიცევში საქმობს, დიდი ბიჭი (ხევერული).*

ღარჭს ენაცვლება **ბიჭი**: *ერთი ბიჭი მყავს იქა, ერთი გოგო (ზაქიეთი); ორი ბიჭი მყავს, ერთი ბაჭალა (ბაზგირეთი); ოთხი თანე ბაჭალა მყავს, ბიჭი არ მყავს (ზაქიეთი); გოგო ყავს აგზე, ბიჭი იქა ყავს (ზაქიეთი); სამი ბიჭი მყავს, ორი გოგო (ზიოსი); ბაღვები*

იქ მყავს სამი თანე ბიჭი (ზიოსი); ბიჭებიდან ვინ არი მომღერალები (ბაზგირეთი); ეს ამისი გოგოა, ჩემი ბიჭისა (ზიოსი); მე სამი გოგო მყავს, მე ბიჭი მყავდა, ამართვა ღმერთმა (მანატბა); ეს შენი ბიჭია? (ზაქიეთი).

ღარქის' ბიჭით' ჩანაცვლებამ გააფართოვა ღარქის' მნიშვნელობა: იგი აღნიშნავს საერთოდ **ბავშვსაც**; ღარქის' ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს შემდეგ წინადადებებში: *ოთხი თანე მყავს ღარქები - ორი ბიჭი, ორი ბაჭალა (ზიოსი); ორი თანე ღარქი ყავს - ერთი ბაჭალა, ერთი ბიჭი (ჩაქველთა); ძუზელლი თანე ღარქი აწველი მყავს, ერთი თანე კდარი დეიზადა, ბითევი დეიზარდენ (ბაზგირეთი).*

ღარქი', ღარქები' - **ბავშვს, ბავშვებს** უნდა აღნიშნავდეს შემდეგ წინადადებებში: *ვისი მასწავლებელი ხართ? მე იმისა ღარქებისა-და (ზაქიეთი); თქვენ ხოჯები ხართ უნივერსიტეტში? ღარქებ ასწავლით, არა? (ჩაქველთა); ღარქები დადიან მექთებში (ბაზგირეთი); ზამთარში ღარქები იქ არიან, ჩემი ღარქები ბითევი იქ არიან (ჩაქველთა); ღარქები დიდვანი გყავს (ჩაქველთა); ღარქებმა იციან, მე ვიცი, ჰამა ბევრი არ ვიცი (უსტამისი); წევდა ჩემი კაცი ესკერში, დავრჩი მარტო, შეშა დამპოხელი არა, კარი გამღებელი არა... ღარქი გყავს, ტირის... მეიკიდე აკვანი ზრუგში (უსტამისი).*

ღარქი' ბავშვის' მნიშვნელობით ძირეულია წარმოქმნილისათვის **ღარჭობა'**=ბავშვობა: *ღარჭობაში ერთი დედე იყო (ბაზგირეთი); ღარჭობის დროს გვედიოდით ბაჭლები (ჩაქველთა).* **ღარჭობა'** საერთოდ **ბავშვობას'** ნიშნავს.

სამხრული კილოები ქართული ენის სხვა დიალექტებთან შედარებით მეტ სიახლოვეს, ბუნებრივია, ავლენს სამცხურ-ჯავახურთან, მესხურთან.

წვე' *წვე კარგი არ არის, წვე წინ ნუ გადიხარ.*

წვე' დაუცავს ჯავახურს, სადაც მისი მნიშვნელობაა **ძალიან**: *წვე გააჭირვა ამ კაცმა საქმე; წვე გააზვიადა; წვე პატარაა, კაცო (მარტიროსოვი, 1984:252).* ამ სიტყვის აღნიშნულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ალ. ლლონტი: *წვე, მწვე (მესხ.) ძალიან, ძლიერ, ერთობ (ლონტი, 1984: 700).*

ეს სიტყვა სხვა კილოებში (ლექსიკონების მიხედვით) არ დასტურდება. **წვე'** ამავე მნიშვნელობითაა „ყარამანიანში“. „რუსუდანიანში“ 14-ჯერ ნახმარია **მწვედ**, 12-ჯერ – **მწვე**. **მწვე'** გარეგნულად მ-ე კონფიქსით ნაწარმოები მიმღეობა ჩანს (შდრ. ძველი ქართული: მძლე, მწე, მნატრე...), **მწედ'** მისი ვითარებითი ბრუნვის ფორმაა იმავე ზმნიზედური მნიშვნელობით.

დავიმოწმებთ „რუსუდანიანიდან“ რამდენიმე მაგალითს. **მწვე**: *მეც მწვე დაგიმადლებთ (198,18); თავად მწვე გვიამა და მერმე გაგვიკვირდა (408,10); გარედამ ისე ჩანდა ის კარი, მაგრამ მწვე სქელი და მძიმე თურმე იყო (451,14).* **მმწვედ**: *ეწყინა მწვედ ზაფს (42,34); ის დევი დიდად საზარო სანახავი იყო, მაგრამ მწვედ ჯაბანი იყო (446,6); მისი ცხენოსან-მშვილდოსნობა უცხო იყო და მწვედ მიკვირდა (423,21).*

გადალაბიჯება' ფართოდ გავრცელებული სიტყვა არ არის შავშურში, არც სხვა დიალექტებში.

ურდული მიკრულია, გადავდგი, გადალაბიჯე (ნიოლეთი). (ვ' - პირველი სუბიექტური პირის ნიშანი დაკარგულია).

მესამე პირის ფორმით ეს ზმნა დასტურდება ჯავახურში - გადალაბიჯებს' - კარები გაიღო და გადალაბიჯა. მისი მნიშვნელობა ასეა ახსნილი: *დიდი ნაბიჯით გადავა, გადააბოტებს (მარტიროსოვი, 1984: 285).* **გადალაბიჯა'** მიღებული უნდა იყოს ორი მსგავსი შედგენილობის სიტყვის – **გადააბიჯა'** და **გადალაჯა'** კონტამინაციით. **გადალაჯებს'** – დიდ ნაბიჯს გადადგამს, დიდი ნაბიჯით გადავა რამეზე, გადააბოტებს (ქეგლ).

ნაჩარი' შავშურში აღნიშნავს **ცუდს**. ასევეა მესხურშიც: *მდარე, ცუდი, უხარისხო (ლონტი, 1984: 415).* **ნაჩარი'** გვხვდება ჯავახურშიც: *ერთი ნაჩარი კაცი იყო (მარტიროსოვი, 1984: 240).* ა. მარტიროსოვი ამ სიტყვის ამოსავლად მიიჩნევს **ლაჩარს'**,

ლაჩარი-ნაჩარი ლ-ნ სუბსტიტუციით. ასეთი ახსნის დაბრკოლებად ჩანს შავშეთის ქართულში დადასტურებული ისეთი მაგალითები, რომლებშიც **ნაჩარი** უმეტესად **რა ჯგუფის** უსულო საგნების მიმართაც არის გამოყენებული: *გურჯები კარგებიც არიან და ნაჩარიც არიან (აგარა); ნაჩარი თუ გაქ ენა და გული (მანატა); მაზუთი ევლეო, ნაჩარი გამომადგაო (ჩაქელთა); ჰამან მივხტი, ნაჩარი ბენზინი ჩემისხათ'ნა? გოუგენი, ვუთხარ, მე ქართველი ვარ, ნაჩარი ბენზინი არ ჩემისხათაო (ჩაქველთა); [ყაბადი] ხასი თუ არი მოხარშავ, ჭამ, თუ ემეა, საძროხე იქნება, თუ ნაჩარიც, ძროხას დუუჭრი (უკანა მეჭელე).*

თუ გავიზიარებთ, ახსნას **ნაჩარი-ლაჩარი**, მაშინ გამოდის, რომ ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტის მნიშვნელობა გაფართოებულია.

ჭოჭე: *ჭოჭე ყოფილა, ვერ გეარდენ, ინსანი ვერ ცხოვრობდა (ივეთი).* ამ სიტყვის მნიშვნელობას აქარულში განმარტავს პ. ჯაჯანიძე: ჭაობიანი ადგილი (ჯაჯანიძე, 1961: 330). სხვადასხვა დიალექტის მიხედვით ალ. ღლონტი მიუთითებს **ჭოჭის** რამდენიმე მნიშვნელობას, მათ შორის: წყლიანი ადგილი..., ბლომად დაღვრილი წყალი; დაქცეული და დატბორებული წყალი. სარწყავი წყალი მინდორში რომ დაიფანტება, ის აჩენს ჭოჭებს (ღლონტი, 1984: 729). ჯავახურშიც არის **ჭოჭი** – ძლიერ დასველებული, ატალახებული, ჭაობიანი ადგილი (მარტიროსოვი, 1984: 253). ზემოთ დამოწმებულ წინადადებაშიც კონტექსტის მიხედვით სწორედ ეს მნიშვნელობა ჩანს.

შავშეთის ერთ-ერთი სოფლის ტოპონიმთა ჩამონათვალში არის **ჭოჭნარები**, რომელსაც ახლავს მოსაუბრის ასეთი შენიშვნა: „წყლიანი ადგილია და ისე დუურქმევნიან. თქვენში არ ეტყვიან? ტალახიანი-მალახიანი... ჰო, ჰო, ისეთი (ნიოლეთი). ასე რომ შავშური **ჭოჭე** იმავე მნიშვნელობისაა, რაც სხვა კილოების **ჭოჭი**“.E

მერჩოლება. **რჩოლა** ნიშნავს საქონლის რქენას. შავშურში ამ ფუძის პირიან ფორმას აქვს სულ სხვა მნიშვნელობა. ეს კარგად ჩანს წინადადებაში: *ვოტკა არ მერჩოლება, ბევრ დავლეე (ჩაქველთა).* კონტექსტის აზრია: „ვოტკა არ მაწყენს...“ ასეთი მნიშვნელობა ჰქონია ამ ზმნას ჯავახურში: ალბათ ბალახმა ერჩოლა (მარტიროსოვი, 1984: 232). შდრ. საბა: ერჩოლებიან – აწყენინებენ (საბა, 1949: 111).

იმფოსერთი (**უმფროსერთი-უფროსერთი-უფროსი ერთი**): ეს კომპოზიტი იშვიათია შავშურში, მისი მნიშვნელობაა **განსაკუთრებით**. *ბბევრი ხილი გვაქ, იმფოსერთი სხალი, ვაშლი, იჯება კარქა (მაჩხატეთი);*

იმფოსერთი იშვიათია აქარულშიც. სამხრულში (ინეგოლისა და მურღულის მეტყველებაში) ამ სიტყვას ადასტურებს შ. ფუტკარაძე: *იმფოსერთი ქალები არიან მუუფერებელი (ინეგოლი); იმფოსერთი ვეტყვით, არ დუუმალავთ (მურღული).* უმეტესად – ასე ხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობას შ. ფუტკარაძე (ფუტკარაძე, 1993: 475).

საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა იმავე მნიშვნელობით, რაც მას აქვს შავშურში, დასტურდება ძველი ქართული მწერლობის გვიანდელი პერიოდის ძეგლებშიც. რამდენჯერმე იყენებს მას საბა, ოღონდ ამოსავალი ფორმით – ცალ-ცალკე სიტყვებად: *ძველი ქალაქი ყოფილიყო დიდი და უფროსი ერთი გათლილის ქვით ნაგები (მოგ ზ. 245); რამდენი უანგარიშო სხვა გვიჩვენა! სხვას სახლში – რაცა უცხო ფრინველი, უფროსი ერთი ცოცხლის მსგავსი (მოგ ზ. 199); სხვა სამკაულმა გამოცა: უანგარიშო გვირგვინები, უფროსი ერთი ალმასისა (მოგ ზ. 241).*

იგივე **უფროსერთი** გვხვდება „ქილილა და დამანაში“: *საქმე უფროსი ერთი მას ეკითხებოდა (23); სოფელი ესე საზოგადოდ დაუცს ბრძანებასა ღვთისასა უფროსი ერთი საწუთროს საქმე, რაცა ჩანს, მიზეზზედ ჰკიდია (33); უფროს ერთი დიდებული მოწმენი იყვნეს (73).*

„რუსუდანიანში“: *შვილო, ესე ყოველი შენია, რომელსა ხედავ და უმფროსი ერთი არა გინახავს (364,1).* რომ პირველ კომპონენტში **მ** არის ჩართული, თანდართულ ლექსიკონშია: უმფროსი ერთი – უფროსი ერთი, უმეტესი, მეტი წილი (774).

დგ' ძირის ზმნის ფორმებს გარდა ძირითადი მნიშვნელობისა რამდენიმე სხვა მნიშვნელობაც აქვს: **1. დგება', დგებიან'** ნიშნავს **სადმე, ვინმესთან დარჩენას გარკვეული დროით'**: *სამოცი ხანე დგებთან [ზამთარში], სხვამ მიდიან (ობლუკარი).*

2. ვდგავართ' ფორმის მნიშვნელობაა - **ვცხოვრობთ'**: *ჩვენ სავლელამ მოვედით, ჩვენ აქ არ ვდგავართ (ქუაბაგი).*

3. ასევე აღნიშნავს აყრას, გადასახლებას: *პარხალი წასულა აქიდან, ამდგარა, ფაქს ამდგარან (ბასლუკარი).*

დგ' ძირის წყვეტილის მწკრივის ფორმა შავშურსა და კლარჯულში ნიშნავს რაიმე წესის, ჩვეულების მოშლას, საგნის ხმარებიდან გასვლას: *კეცები ადგა, ახლა სობაა (დავლათი); ადგა გურჯი სამობა (შირინს.)* (შავშეთი, 2011: 285; კლარჯეთი, 2016: 575).

ტაოელთა მეტყველებაში **დგ'** ძირი ამ მნიშვნელობით იშვიათად გამოიყენება, მას ცვლის **დეილია', ემწია'** ზმნები:

...წურილნი-წურილნი აღარ პარიკობენ. ზამან-ზამან ადგება (ქუაბაგი).

სხვამ არ არი, დეილია (ჭედლიანკარი); ახლა კეცი აღარაა, დეილია, გავაგდეთ. პურ არ დავთესავთ, კალო ემწია, კეცი ემწია, პურ მარკეტში ევლებთ, გჭამთა... (ბასლუკარი).

უკან' ზმნიზედა ძირითადი მნიშვნელობის გარდა, ისევე როგორც კლარჯულში, გამოიყენება **თან', ერთად', შემდეგ', მემრე/მერე'** თანდებულების მნიშვნელობით (ცინცაძე, 2015: 55-59).

უკან'=თან':

ნენეს უკან, ბაბას უკან. აქ არი - ართვინ (ბინათი); ერთი გოგო, ერთი ბიჭი, ჩემ უკან არიან ადაფაზარ (ბასლუკარი); ერთი ბგანო აქ არი და იმის უკან ვართ (ბალხი); ჩვენი ლაპარიკი გადარევილია, ასიმილე ქნია, თქუენიც გადარევილია რუსულის უკან (ელიასხევი); ერგან იქნებიან დადეები გოგოს უკან (ცუცეკარი); ბიჭის უკან დადე არსა არი (ცუცეკარი).

შავშურში ეს მნიშვნელობა ფართოდ გავრცელებული არ არის.

ტაოურში **უკან'=შემდეგ':**

...რომელცხა მილეთი არი, იმათი სახლები - კარი, მას უკანაც კარი (ბასლუკარი); ...ჩვენც არ ხვართობ შენს უკან (ქისქიმი).

უკან' ზმნიზედა **უკანაჲ** ფორმით ზედსართავის ფუნქციით გამოიყენება:

... იმ ბარზე ემეა, სოფლების სახლები და უკანაჲ კარი (ბასლუკარი)...

იგულისხმება სოფლის დასახელების მომდევნო ნაწილი (ჩინჩალაძე, 1955: 30; ცინცაძე, 2015: 55).

სამხრულ დიალექტებს სხვაც არაერთი საინტერესო ლექსიკური შემოუნახავს. მათი შემდგომი შესწავლა ბევრ საინტერესოს წარმოაჩენს.

დასკვნა. კვლევამ აჩვენა, რომ ზემოთ განხილული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც საერთოა სამხრული მეტყველებისათვის, ზოგი დასტურდება იმავე ან განსხვავებული მნიშვნელობით ქართული ენის სხვა დიალექტებში, ასევე ძველი ქართული მწერლობის მოგვიანო პერიოდის ძეგლებში. ამდენად, მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ქართული სალიტერატურო ენისა და სამხრული დიალექტების ურთიერთმიმართების შესასწავლად (რაც ჩვენი კვლევის საგანია). გარდა ამისა, ასეთი კვლევები ამყარებს ვარაუდს, რომ სამხრული დიალექტები არის შედეგი სამხრული მეტყველების დიფერენციაციისა, გულისხმობენ საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს, ბევრი საერთო აქვთ სინტაქსსა და ლექსიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- კლარჯეთი. (2016). ავტორთა ჯგუფი: ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ., ჩოხარაძე, მ., შიოშვილი, თ., მამულაძე, შ., ხალვაში, რ., მგელაძე, ნ., შაშიკაძე, ზ., & კარალიძე, ჯ. ბათუმი.
- მარტიროსოვი, ა. (1984). *ქართული ენის ჯავახური დიალექტი*. თბილისი.
- ორბელიანი, ს. ს. (1949): *სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი*. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი.
- ორბელიანი, ს. ს. (1989). მოგზაურობა ევროპაში. *ქართული მწერლობა*. ტომი მე-7. თბილისი.
- რუსუდანაძე, ი. (1957). ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით (ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურა). თბილისი.
- ფაღავა, მ. (2015). სამხრული კილოები – შესწავლის მდგომარეობა და კვლევის პერსპექტივები. *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*. XIII. თბილისი.
- ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., & ბარამიძე, მ. (2022). *ქართული ენის შავშური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი)*. თბილისი.
- ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., & ბარამიძე, მ. (2023). *ქართული ენის კლარჯული დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი)*. თბილისი.
- ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., & ბარამიძე, მ. (2024). *ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი)*. თბილისი.
- ფუტყარაძე, შ. (1993). *ჩვენებურების ქართული*. ბათუმი.
- ქავთარაძე, ივ. (1973). ზოგი სიტყვის აღნაგობისა და ისტორიისათვის ძველ ქართულში. *იკვ. XVIII*. თბილისი.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. (1950-1964). არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. I-VIII. თბილისი.
- ქილილა და დამანა. (1949). ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით. თბილისი.
- ლონტი, ა. (1984). *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*. თბილისი.
- ყარამანიანი. (1985). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და ს. ცაიშვილმა. თბილისი.
- შავშეთი. (2011). ავტორთა ჯგუფი: ფაღავა, მ., შიოშვილი, თ., მამულაძე, შ., ცინცაძე, მ., ჩოხარაძე, მ., შაშიკაძე, ზ., ცეცხლაძე, ნ., ფუტყარაძე, თ., ბარამიძე, მ., კარალიძე, ჯ., ჩოხარაძე, გ. თბილისი.
- ჩინჩალაძე, მ. (1955). *ქართული ზმნიზედის სწავლება სკოლაში*. თბილისი.
- ცინცაძე, მ. (2015). „უკან“ სიტყვის მნიშვნელობისა და სინტაქსური ფუნქციისათვის კლარჯულში. *ბსუ ქართველოლოგიის ცენტრი კრებული X*. ბათუმი.
- ცინცაძე, მ., & ფაღავა, მ. (1998). *სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII ს.ს.)*. ბათუმი.
- ჯაჯანიძე, პ. (1961). აჭარული ლექსიკონის მასალები. *ქპი შრომები*. XXIII. ქუთაისი.

REFERENCES

- k'larjeti [Klarjeti]*. (2016). Authors Group: paghava, m., tsintsadze, m., baramidze, m., chokharadze, m., shioshvili, t., mamuladze, sh., khalvashi, r., mgeladze, n., shashik'adze, z., & k'aralidze, j. Batumi.
- mart'irosovi, a. (1984). *kartuli enis javakhuri dialekt'i [Javanese dialect of the Georgian language]*. Tbilisi.
- orbeliani, s. s. (1949): *sit'qvis k'ona kartuli, romel ars leksik'oni [The origin of the word is Georgian, which is a dictionary]*. Edited and prefaced by S. Iordanishvili. Tbilisi.
- orbeliani, s. s. (1989). *mogzauroba evrop'ashi [Travels in Europe]*. *kartuli mts'erloba [Georgian Writing]*. Vol. 7. Tbilisi.

- rusudaniani [Rusudanyani]*. (1957). Edited by I. Abuladze and Iv. Gigineishvili (Ancient Georgian Classical Literature). Tbilisi.
- paghava, m. (2015). *samkhruli k'iloebi – shests'avlis mdgomareoba da k'vlevis p'ersp'ekt'vebi* [Southern Dialects – Status of Studies and Research Perspectives]. *kartvelur enata st'rukt'uris sak'itkhebi [Issues of the structure of the Georgian languages]*. XIII. Tbilisi.
- paghava, m., tsintsadze, m., & baramidze, m. (2022). *kartuli enis shavshuri dialekt'i (gamok'vleva, masalebi, leksik'oni)* [A Shavshian Dialect of the Georgian Language (research, materials, lexicon)]. Tbilisi.
- paghava, m., tsintsadze, m., & baramidze, m. (2023). *kartuli enis k'larjuli dialekt'i (gamok'vleva, masalebi, leksik'oni)* [A Klarjian Dialect of the Georgian Language (research, materials, lexicon)]. Tbilisi.
- paghava, m., tsintsadze, m., & baramidze, m. (2024). *kartuli enis t'aouri dialekt'i (gamok'vleva, masalebi, leksik'oni)* [A Tao Dialect of the Georgian Language (research, materials, lexicon)]. Tbilisi.
- put'k'aradze, sh. (1993). *chveneburebis kartuli [Chveneburebis' Georgian]*. Batumi.
- kavtaradze, iv. (1973). *zogi sit'qvis aghnagobisa da ist'oriisatvis dzvel kartulshi* [For the structure and history of some words in Old Georgian]. *ik'e [IKL]*. XVIII. Tbilisi.
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni [Explanatory Dictionary of the Georgian Language]*. (1950-1964). Edited by Arn. Chikobava. Vol. I-VIII. Tbilisi.
- kilila da damana [Kilila and Damana]*. (1949). Edited by Al. Baramidze and P. Ingorokva. Tbilisi.
- ghlont'i, a. (1984). *kartul k'ilo–tkmata sit'qvis k'ona [The Georgian Dialect's and its branches' Lexicon]*. Tbilisi.
- qaramaniani [Karamanyani]*. (1985). The text was prepared for publication, with a preface and a dictionary added by A. Gvakharia and S. Tsaishvili. Tbilisi.
- shavsheti [Shavsheti]*. (2011). Authors Group: paghava, m., shioshvili, t., mamuladze, sh., tsintsadze, m., chokharadze, m., shashik'adze, z., tsetskhladze, n., put'k'aradze, t., baramidze, m., k'aralidze, j., & chokharadze, v. Tbilisi.
- chinchaladze, m. (1955). *kartuli zmnizedis sts'avleba sk'olashi [Teaching Georgian conjugation in school]*. Tbilisi.
- tsintsadze, m. (2015). „uk'an“ sit'qvis mnishvnelobisa da sint'aksuri punktsiisatvis k'larjulshi [For the meaning and syntactic function of the word ukan' (back') in Klarjuli]. *bsu kartvelologiis tsent'ri k'rebuli X [Collection of works of the Center for Kartvelology, BSU]*. Batumi.
- tsintsadze, m., & paghava, m. (1998). *samkhruli dialekt'ebi da kartuli samts'erlobo ena (V-XVIII s.s.) [Southern dialects and the Georgian written language (V-XVIII c c)]*. Batumi.
- jajanidze, p'. (1961). *ach'aruli leksik'onis masalebi [Materials of the Adjarian dictionary]*. *kp'i shromebi [KPI Works]*. XXIII. Kutaisi.